

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება დაკავშირებულია „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის დროს დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებასთან.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისიის საქმიანობაში ხელის შეშლის თავიდან აცილება.

ა. გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე.

ამ საკითხს იხილავს, ადმინისტრაციული სახდელს შეუფარდებს და ოქმს ადგენს რესტიტუციისა და კომპენსაციის კომისია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ. ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს რაიმე ხარჯებს.

ბ. ბ) კანონის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდის სახით.

ბ. გ) კანონის გაკლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე;
კანონპროექტის მიღება არ იწვევს ცვლილებებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ბ. დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;
კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ. ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთაც მიმართა ვრცელდება კანონპროექტის მიღება:
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ შედეგებს.

ბ. ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტით ღვინდება ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრები საფუძვლები.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ. ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ. ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ. გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:
კანონპროექტის შემუსავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულები) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტთან დაკავშირებით არ არის გამოთქმული შენიშვნები.

დ. გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ. დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პრეზიდენტი.